

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის შეხვედრა ვიჩენცაში (იტალია)



მიმდინარე წლის 14-16 ივლისს, ვიჩენცაში, გაიმართა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების დელეგატებისა და სააგენტოთა ასოციაციის შეხვედრა.

შეხვედრის მთავარი მიზანი იყო არსებული სიტუაციის მიმოხილვა, სხვადასხვა ქვეყნების სააგენტოების გამოცდილებისა და შესაძლებლობების გაზიარება.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიმდინარე წლის მაისის თვეში მიღებული სამწლიანი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა სააგენტოებისა და ასოციაციის ერთობლივი აქტივობები.



შეხვედრაზე ასევე შეჯამებულ იქნა მიმდინარე წლის I ნახევარში სააგენტოების მიერ გაწეული მუშაობა, რომელიც ასოციაციის მიერ დადებითად იქნა შეფასებული..

3 დღიანმა ერთობლივმა მუშაობამ დაადასტურა, რომ მომდევნო თვეებში ქსელი მზადაა მყარი და საფუძვლიანი მუშაობა წარმოადგინოს.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა, რაც გადამწყვეტი ელემენტია საერთაშორისო ქსელის უფრო მეტად გაფართოებისათვის.